



# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

|                             |                                    |  |
|-----------------------------|------------------------------------|--|
| 1929 წლის<br>სექტემბრის 16. | <b>№ 17</b><br>განყოფილება პირველი | ა/კსფსრ სახალ. კომისართა<br>საბჭოს საქმეთა მმართვე-<br>ლობის მიერ გამოცემული |
|-----------------------------|------------------------------------|--|

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

- მუხ. 145. ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებთათაშორისო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
- „ 146. ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს მიერ ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული გეოდეზიური სამუშაოების ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საუწყებო დაწესებულებათა მიერ წარმოებულ სამუშაოებთან დაკავშირების შესახებ.
- „ 147. ოქროს და პლატინის მრეწველობისა და ოქროს და პლატინის შენახვის შესახებ.
- „ 148. ადგილობრივი ფინანსების დებულების 39<sup>1</sup> მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ.
- „ 149. „ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 14-ს დადგენილების მე-4 მუხლთან ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 189 მუხლის „ბ“ პუნქტის შეთანხმების შესახებ.
- „ 150. ამიერკავკასიის წყალთა-ტენნიკური საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.
- „ 151. ა/კსფსრ-ში შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ (ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარის მოხსენების გამო).
- „ 152. მიმდინარე საბიუჯეტო წელს ბინათმშენებლობის ღირებულობის ლიმიტების შესახებ შენობის საცხოვრებელი სივრცის ერთ კვადრ. მეტრზე.
- „ 153. 1929 წლის სექტემბრის 20-ს დღის შესახებ (ინდუსტრიალიზაციის დღე).
- „ 154. სამინდე გამოსაღების შესახებ.

## დადგენილებანი ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელ-ფლოტელთა დეპუტატების საბჭოების მე-V ყრილობისა.

- „ 155. ამხ. შ. ელიავას მოხსენების გამო—ა/კსფსრ მთავრობის მოქმედების შესახებ.
- „ 156. ამხ. შავერდოვის მოხსენების გამო—ა/კსფსრ მთავრობის მიერ საბჭოთა მე-IV და მე-V ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში მიღებულ დეკრეტთა და დადგენილებათა შესახებ.





## დადგენილება № 149 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**145.** ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება „ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. აგისტოს 15. ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ.

I. ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისია მოეწყობა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან; იგი შესდგება, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით, შემდეგ დაწესებულებათა მუდმივ წარმომადგენლებისაგან: თითო ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგემო კომისიისა და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების თითო წარმომადგენლისაგან.

შენიშვნა 1. 1-ლ მუხლში აღნიშნული დაწესებულებები და ორგანიზაციები დანიშნავენ მუდმივ წარმომადგენელთა მოადგილეებს.



**შენიშვნა. 2.** აღნიშნულ კომისიაში მონაწილეობისათვის მიიწვევიან დიდ ტრესტთა და საწარმოთა და აგრეთვე სათანადო საწარმოთა პროფესიონალურ-კავშირული ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელები.

II. 1-ლ მუხლში აღნიშნული საუწყებათაშორისო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს:

1) გასცეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებულ რესპუბლიკანურ საუწყებათაშორისო კომისიებისა და ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა მიმართ სადირექტივო განკარგულებანი, ყველა იმ საჭირო პირობების მხედველობაში მიღებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულ გადასვლას, როგორც არის:

ა) საწარმოს ნედლეულობით, სათბობით, მასალით, ინსტრუმენტებით და სხვ. უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

ბ) რაც შეიძლება მეტი გაწყობილობის დაგროვებისა, ამ გაწყობილობის შეუწყვეტლივ მუშაობისა და მისივე მიმდინარე რემონტის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

გ) საჭირო დამატებითი მუშა-ძალის შერჩევისა და კვალიფიციური მუშებისა და ტექნიკური პერსონალის დამატებითი კადრების მომზადებისათვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელებისა და დამხმარე პერსონალით საწარმოს უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

დ) მუშა-ძალის დამატებითი კადრების მოსათავსებლად საწარმოს ბინებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

ე) საჭირო კაპიტალურ დახანძრებათა რაოდენობა დამატებითი გაწყობილობისა, რემონტისა, სანედლეულო დამზადებათა გადიდებისათვის და სხვ.;

ვ) წარმოების ცალკეული დარგების შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლის ეკონომიური ეფექტიანობა (პროდუქციის გამოშვების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, ამორტიზაცია და სხვ);

2) შეიმუშაოს გეგმები და ღონისძიებანი საწარმოთა და აგრეთვე მრეწველობის დარგთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლისათვის.

3) განიხილოს და დაამტკიცოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ რესპუბლიკანურ საუწყებათაშორისო კომისიათა და აგრეთვე ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა მიერ განზრახული ღონისძიებანი შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლისათვის.

4) მისცეს დასკვნა ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო სათანადო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლის თაობაზე.

5) თვალყური ადევნოს შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლისათვის სათანადო წესით მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

III. ზემოაღნიშნული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებანი მისი კომპეტენციის საგნების შესახებ საბოლოოა.

IV. ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის მრეწველობის დარგთა გადასვლა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე მოხდება ამიერკავკასიის



საუწყებოთა შორის კომისიის დადგენილებით მხოლოდ იმ საწარმოთა შესახებ, რომელნიც აღნიშნულ იქნებიან ასეთ საწარმოთა განსაკუთრებულ ნუსხაში, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან შეთანხმებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 204 №-ში 1929 წ. სექტემბრის 6-ს.

## დადგენილება № 150 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**146.** ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს მიერ ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებულ გეოდეზიური სამუშაოების ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საუწყებო დაწესებულებათა მიერ წარმოებულ სამუშაოებთან დაკავშირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ყველა სეხელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ სეხელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებათ— განახორციელონ, ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს მეშვეობით, ყველა ძირითადი გეოდეზიური სამუშაო, ე. ი. პირველი კლასის ტრიანგულაციები და მეორე კლასის ქსელის შემავსებელი ძირითადი რიგები, მაღალზუსტოვანი და ზუსტოვანი ნიველირება და საყრდნობი პუნქტების ასტრონომიული გამორკვევანი.

მიწათმოყვობისა, მეღიორაციისა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათათვის შესასრულებელ ასტრონომიულ გამორკვევას, ტრიანგულიაციას და ნიველირებას, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის ორგანოების მიერ ქალაქის ფარგლებში წარმოებულ ქალაქის გეგმების გადაღებას შეასრულებენ სათანადო დაწესებულებები და კომუნალური მეურნეობის ორგანოები, რაც უნდა ეცნობოს ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს და რაც წარმოებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოსთან შეთანხმებული ინსტრუქციის მიხედვით.

2. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყოველი მასშტაბით შესასრულებელი ყველა სეხელმწიფო და კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებისა და საწარმოს, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის საწარმოს და დაწესებულების ტოპოგრაფიული სამუშაოები უნდა აწარმოოს ან ამიერკავკასიის გეოდეზიურმა სამმართველომ, ან ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების



ამა თუ იმ დაწესებულებამ და საწარმომ ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამართ-ველოსთან შეთანხმებული ინსტრუქციების მიხედვით.

**შენიშვნა.** იმ დაწესებულებამ, რომელიც აწარმოებს უფრო დიდრონ გადალებას, ვიდრე 1/50.000, საქმის დაყენებისათვის უნდა იხელმძღვანელოს ამა დადგენილების მე-5 §-ში.

3. რათა ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს შესაძლებლობა ჰქონდეს სისწორით განავითაროს ძირითადი გეოდეზიური სამუშაოები, მიენდოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ ამ რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ამავე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სხვა დაწესებულებათ და საწარმოთ—გააზუსტონ მათ 1930 წ. იანვრის 1-ვის ერთობილი მიწათმოწყობისა, გადასახლების ღონისძიებათა და წყალსამეურნეო სამუშაოთა რაიონები, რაც უნდა აცნობონ ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს.

4. წარმოებითი ხასიათის განცხადებანი მეორე კლასის ტრიანგულაციისა, ასტრონომიული გამორკვევისა, ნიველირებისა და ტოპოგრაფიული გადალების კონკრეტულ სამუშაოთა თაობაზე დაწესებულებამ და საწარმომ დროზე უნდა აცნობოს ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს, ვიდრე ორი თვით ადრე სავლელ მუშაობის დაწყებამდე.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ ამ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე წინადადება მისცენ ა/კსფსრ-ის ყველა იმ დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც გადამღებ მუშაობას აწარმოებს, წარმართონ ეს მუშაობა ისეთი ტექნიკური ხერხით, რაც არ გაანელებს მის ტემპს და ამავე დროს გააადვილებს ამ მუშაობის შედეგის სახელმწიფო კარტოგრაფიის მიზნებისათვის გამოყენებას.

6. მიენდოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ ამ რესპუბლიკების დაინტერესებულ უწყებებსა და დაწესებულებებს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით (ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს ხაზით), გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბევზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. აგვისტოს 15. ტფილისი-სასახლე.



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 147. ოქროს და პლატინის მრეწველობისა და ოქროს და პლატინის ტრიალისა და შენახვის შესახებ.

„ოქროს და პლატინის მრეწველობისა და ოქროს და პლატინის ტრიალისა და შენახვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მაისის 8-ს დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 33 №-რი, მუხ. 292) დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ს დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-40 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული საწარმონი არ შეიძლება დაბეგრილ იქნენ არავითარი სხვა ადგილობრისი გადასახადით და გამოსაღებით როგორც ძირითადი, ისე ხელისშემწყობი საწარმოთა და დამხმარე დაწესებულებათა ხაზით. ხელისშემწყობი საწარმოთ და დამხმარე დაწესებულებათა ეკუთვნის ისეთი საწარმო და დაწესებულება, რომელიც მოწყობილია როგორც ტექნიკურ საჭიროებათათვის, ისე ოქროს სამადნო ადგილების მოსახლეობისათვის სამკურნალო დახმარებისა და კომუნალური მომსახურების გასაწევად, გზების გასაყვანად და ბინების ასაშენებლად და სხვ.“

ბ) 28 მუხლის „მ“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 121) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მ) ის სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმო და პირი, რომელიც აწარმოებს ოქროს და პლატინის ძებნას, მიგნებას და დამუშავებას,— ოქროს ყიდვისა და საქონელზე გაცვლის ოპერაციების ფარგალში, ხოლო სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმო, ამის გარდა, აგრეთვე ისეთი ოპერაციების ფარგალში, რასაც ოქროს სამადნო ადგილების მოსახლეობისათვის კვებისა და ფართო მოხმარების საგნებისა, მასალისა, ინვენტარისა და გაწყობილობის მიწოდება აქვს მიზნად.“

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ— შეიტანონ სისხლის სამართლის კოდექსებში ის ცვლილებები, რაც გამომდინარეობს „ოქროს და პლატინის მრეწველობისა და ოქროს და პლატი-



ნის შენახვისა და ტრილის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მაისის 8-ს დადგენილების 75 მუხლიდან.

ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. სექტემბრის 2. ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 148. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 39<sup>1</sup> მუხლის მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 39<sup>1</sup> მუხლის მე-3 შენიშვნა (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 264) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 3. ცენტრალიზებული წესით სახელმწიფო სარეწაო გადასახადით დაბეგრულ საწარმოთა ოპერატიულ ერთეულებს ამა მუხლში გათვალისწინებული გადასახადი გადაჰხდებოდა პროცენტული შეფარდებით სარეწაო გადასახადის განაკვეთთან, რაც ამ მიზნით თვითეული ცალკე ოპერატიული ერთეულის ბრუნვაზე გამოიანგარიშება აღნიშნული გადასახადის დებულებით გათვალისწინებული წესების თანახმად“.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1928 წ. ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. სექტემბრის 12. ტფილისი.



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**149.** „ინვალიდობისა და მარჩენილის დაკარგვის გამო სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 14-ს დადგენილების მე-4 მუხლთან ა/კფსრ შრომის კანონთა კოდექსის 189 მუხლის „ბ“ პუნქტის შეთანხმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ა/კფსრ შრომის კანონთა კოდექსის 187, 188, 189 და 190 მუხლების შეცვლისა და 189<sup>1</sup>, 189<sup>2</sup>, 189<sup>3</sup>, 189<sup>4</sup>, 189<sup>5</sup>, 189<sup>6</sup>, 189<sup>7</sup>, 189<sup>8</sup> და 189<sup>9</sup> მუხლების შეესების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წ. მარტის 4-ს დადგენილების შესაცვლელად—ა/კფსრ შრომის კანონთა კოდექსის 189 მუხ. „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული შვილი, ძმა, და და ან შვილად აყვანილი, რომელთაც დაუკარგავთ შრომის უნარი აღნიშნული ასაკის მიღწევამდე.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. სექტემბრის 2. ტფილისი-სასახლე.

## დადგენილება № 155 ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**150.** ამიერკავკასიის წყალთა-ტექნიკური საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ახალი რედაქციით შემდეგი „დებულება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული წყალთა-ტექნიკური საბჭოს შესახებ.“





II. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, „ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ორგანოების დებულების“ სათანადო მუხლების განსავითარებლად, შეიმუშაოს და, დაინტერესებულ უწყებებთან და დაწესებულებებთან შეთანხმების შემდეგ, წარმოუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი წესებისა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან იმ საპროექტო განზრახვლებათა შეთანხმებისა და წყალთა-ტექნიკურ საბჭოში ამ პროექტების განხილვისის წესის შესახებ, რასაც წყალსამეურნეო მშენებლობის სფეროში შეადგენენ სხვა (წყალთა მეურნეობის ორგანოების გარდა) უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

III. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილება „ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული წყალთა-ტექნიკური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ მე-18 №-რი, მუხ. 209) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. აგვისტოს 29. ტფილისი—სასახლე.

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**ამიერკავკასიის წყალთა-ტექნიკური საბჭოს შესახებ.**

1. ამიერკავკასიის წყალთა-ტექნიკური საბჭო მოეწყობა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან და შესდგება საბჭოს თავმჯდომარისა და წევრებისა და საბჭოს წევრ-კონსულტანტებისაგან. საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის წარდგენით, დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. წევრ-კონსულტანტებს და დანიშნავს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამიერკავკასიის წყალთა-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით.

2. წყალთა-ტექნიკურ საბჭოს ჰყავს პრეზიდიუმი, რომელიც შესდგება ამ საბჭოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, სწავლული მდივნისა და ორი წევრისაგან. პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს, სწავლულ მდივანსა და ორ წევრს დანიშნავს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი აღნიშნული საბჭოს წევრთაგან ამ საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით.

3. წყალთა-ტექნიკური საბჭოს სხდომებში, მისი თავმჯდომარის მიწვევით, მონაწილეობას იღებენ, სათათბირო ხმის უფლებით, საბჭოს წევრი-კონსულტანტები, სპეციალისტები და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები,



აგრეთვე პერსონალურად, ცალკეული სპეციალური საკითხებისათვის, მიწვეული პირები.

საბჭოს წევრ-კონსულტანტებს აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება იმ საკითხებში, რა საკითხების მომხსენებელნიც ისინი არიან.

4. წყალთა-ტექნიკური საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ძიებლობათა და გამოკვლევათა იმ სქემებისა, პროექტებისა და პროგრამების განხილვა, რასაც წარადგენენ წყალთა მეურნეობის ორგანოები და აგრეთვე ამ სქემებისა, პროექტებისა და პროგრამების თაობაზე დასკვნის მიცემა თანახმად მომქმედი დებულებისა წყალსამეურნეო სამუშაოთა პროექტების დამტკიცების შესახებ;

ბ) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შესათანხმებლად უწყებებისა და დაწესებულებების მიერ წარდგენილი წყალსამეურნეო მშენებლობის საპროექტო განზრახვლებათა განხილვა;

გ) წყალთა მეურნეობის მწორმირებელი კანონპროექტებისა და ინსტრუქციების განხილვა;

დ) ტექნიკური, ეკონომიური და ორგანიზაციული საკითხების განხილვა ა/კსფსრ სხვადასხვა წყალსამეურნეო პრობლემის საკომპლექსო გადაწყვეტის სფეროში;

ე) წყალთა მეურნეობის მდგომარეობის აღნუსხვის შესახები ღირებულებების განხილვა;

ვ) სქემებისა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის წესებისა და აგრეთვე სამუშაოთა ტექნიკური ანგარიშების განხილვა;

ზ) სისტემათა და ნაგებობათა ძიებლობისა, გამოკვლევისა, სამშენებლო სამუშაოებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წარმოების ინსტრუქციების განხილვა;

თ) საძიებლო, სამშენებლო და საექსპლოატაციო სამუშაოთა ტექნიკური ანგარიშების განხილვა და მათ შესახებ დასკვნის მიცემა.

5. საქმეები წყალთა-ტექნიკურ საბჭოში განსახილველად შეაქვს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს, ამ საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით; პრეზიდიუმი დანიშნავს მომხსენებლებს და თანამომხსენებლებს (ექსპერტებს) წყალთა-ტექნიკური საბჭოს წევრთა, წევრ-კონსულტანტთა ან სპეციალურად მიწვეულ პირთაგან.

6. წყალთა-ტექნიკური საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო ტფილისში მყოფ წევრთა ნახევარი რიცხვი. საკითხი გადასწყდება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმის მარტივი უმეტესობით.

უკეთუ ხმები შუაზე გაიყო, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს განკარგულებისათვის წარედგინება ორივე ვარიანტი.

7. სასწრაფო ან უფრო არსებითი საკითხები განიხილება საბჭოს გაფართოებული პრეზიდიუმის მიერ, რომლის შედგენილობასაც განსაზღვრავს თვითულ ცალკე შემთხვევაში საბჭოს პრეზიდიუმი.

8. წყალთა-ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილებანი განკარგულებისათვის წარედგინება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს უმცირესობაში დარჩენილ წევრთა აზრითურთ.





**შენიშვნა.** უკეთუ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი თანახმა არ არის წყალთა-ტეხნიკური საბჭოს გადაწყვეტილებისა რომელიმე საკითხის გამო, მას შეუძლიან ეს საკითხი შეიტანოს წყალთა-ტეხნიკურ საბჭოში ხელმეორედ განხილვისათვის.

9. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს საქმისწარმოება, სწავლული მდივნის ხელმძღვანელობით, დაეკისრება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს აპარატს.

10. წყალთა-ტეხნიკური საბჭოს სხდომებში მონაწილეობისათვის მისი წევრები, წევრი-კონსულტანტები და აგრეთვე სპეციალურად მიწვეული პირები იღებენ გასამრჯელოს შრომის მომქმედი კანონმდებლობის წესისამებრ.

## დადგენილება № 156 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 151. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო ა/კსფსრ-ში შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის მოხსენება სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში შრომის დაცვის მდგომარეობისა და სასოფლო-სამეურნეო მუშების შრომის დაცვის მდგომარეობის საკითხების შესახებ და იგი აღნიშნავს:

ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობას შრომის დაცვის სფეროში ემჩნევა მთელი რიგი მიღწევები, როგორც იმ მხრით, რომ შრომის ორგანოების მუშაობა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის წარმართულია გეგმიანად და გაღრმავებულია და გაძლიერებული შრომის ინსპექციის მუშაობა სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში, ისე იმ მხრით, რომ განხორციელებულია შრომის კანონმდებლობა საგლეხო მეურნეობებში.

ხოლო, ამასთანავე, უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობა ბევრ საწარმოში, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის სფეროში (ნავთი, ნახშირი, შავიქვა, სპილენძი) ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი არ არის, რის გამოც ტრავმატიული ხასიათის დაშავებათა რიცხვი ღიღია.

სამეურნეო ორგანოები სათანადოდ არ იცავენ წესებს კაპიტალური მშენებლობის პროექტების შრომის დაცვის ორგანოებთან შეთანხმების შესახებ და საკმარისად არ ასრულებენ ინსპექციის ღირებულებებს საწარმოში უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის თაობაზე მომქმედ დადგენილებების განხორციელების შესახებ. შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის გადადებული თანხები სრულად არ არის გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებისამებრ. შინამეურნეობითი ტეხნიკური ზედამხედველობა მუშაობის უშიშროებისათვის უმეტეს შემთხვევაში აქამდე მოუწყობელია.



უფლებრივი ნორმების სფეროში, იმის გარდა, რომ ეს ნორმები საერთოდ შემცირებულია, აქამდე ხშირია დარღვევა ნორმალური სამუშაო დროისა (ზედმეტი მუშაობა), გამოსასვლელი და უქმი დღეების მიცემისა და 42 საათიანი ყოველკვირეული დასვენებისა როგორც სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში, ისე სოფლის მეურნეობაში და სხვ.

მუშათა ფართო მასსების არასაკმარისი ყურადღება შრომის დაცვის საკითხებრსადმი და საზოგადოებრივი კონტროლის უქონლობა შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში აგრეთვე ზედგავლენას ახდენს შრომის პირობების საერთო მდგომარეობაზე სხვადასხვა სამრეწველო საწარმოსა და სოფლის მეურნეობაში.

იშვიათი არ არის ის მოვლენა, რომ სასამართლო ორგანოები და პროკურატურა აგვიანებენ როგორც შრომის ორგანოებისა, ისე თვით მშრომელების მიერ, კერძოდ—სოფლის მეურნეობის მუშების (ამბოკარების) მიერ აღძრულ სასამართლო საქმეების გადაწყვეტას.

თვით შრომის ინსპექციის თვისებრივი ვითარება, იმის გარდა, რომ რიცხობრივ იგი საკმარისი არ არის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ინსპექციისა—ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, რადგანაც ინსპექტორების ხშირი ცვლა, საკმარის სამიმოსვლო საშუალებათა უქონლობა, ინსპექტორების მოსამზადებელი და ხელახლად მოსამზადებელი სპეციალური კურსების არ არსებობა, აგრეთვე ინსპექტორების სხვადასხვა ისეთი დავალებებით დატვირთვა, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს მათ მუშაობასთან,—ყოველივე ეს იწვევს შრომის ინსპექციის მოქმედების შესუსტებას.

რადგანაც შრომის ნაყოფიერების შემდგომი წარმატებისათვის და მისი ინტენსიობის გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულობის თანდათან შემცირებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უშიშროების ტენზიკისა და შრომის სასანიტარო-სატენზიკო პირობების გაუმჯობესებასა და შრომის მოქმედ კანონმდებლობის სრულ განხორციელებას ყველა სამრეწველო საწარმოსა და სოფლის მეურნეობაში,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 29-ს დადგენილებისა „სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო—მრეწველობასა და ტრანსპორტში შრომის დაცვისა და უშიშროების ტენზიკის მდგომარეობის შესახებ“ და „სამთო მრეწველობაში მუშაობის უშიშროების უზრუნველყოფისა და შრომის პირობების გაჯანსაღების შესახებ“—აღგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და იმ უწყებათ, რომელთა გამგებლობაშია სამრეწველო საწარმონია:

ა) მიიღონ ყოველი ღონისძიება, რათა სამრეწველო საწარმოთა რაციონალიზაციისა, რეკონსტრუქციისა და ხელახალი გაწყობისათვის წარმოებული მუშაობა დეკაფშირებულ იქნეს შრომის დაცვის ღონისძიებებთან;

ბ) უზრუნველყონ სრული და თავის დროზე გამოყენება პირდაპირი დანიშნულებისამებრ იმ სახსარისა, რაც გადადებულია შრომის დაცვის ღონისძიებათათვის;



გ) გააძლიერონ და გააუმჯობესონ უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიისათვის საჭირო დანადგამთა თვისება; განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სავენტილაციო დანადგამთა პროექტების შედგენას, ტექნიკურ შესრულებას და გამოყენებას; ამასთან ერთად უნდა სწარმოებდეს ამ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების ეფექტიანობის შესწავლა;

დ) უზრუნველყონ საწარმოთათვის თავის დროზე მიწოდება სათანადო ღირსების სპეცტანისამოსისა და დამცველი საგნებისა საკმარისი რაოდენობით, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ან კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრული ნორმების მიხედვით;

ე) მიიღონ სასწრაფო ღონისძიება შინამეურნეობრივი ტექნიკური ზედამხედველობის მოსაწყობად მუშაობის უშიშროებისათვის, რისთვისაც უნდა გამოჰყონ ყველა სამთო მრეწველობის საწარმოში და ყველა სხვა საწარმოში, სადაც მუშათა თვალსაჩინო რიცხვია, განთავისუფლებული მომუშავენი, უშიშროების ტექნიკის გამოცდილი სპეციალისტები, მათი უფლება-მოვალეობის გაფართოებით და გაზუსტებით. ამასთან ერთად, განახორციელონ საწარმოთა და ამქართა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაზუსტება უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიებათა ჩატარებისათვის და სამეურნეო ორგანოების ბრალით ან უთაურობით მომხდარი უბედური შემთხვევისათვის;

ვ) მოაწყონ მუშების სისტემატიური სწავლება მუშაობის უშიშროების მეთოდებისა, განსაკუთრებით საშიშ და მავნე სამუშაოებზე, და გაუწიონ მათ ინსტრუქტირება სხვა სამუშაოებზე; კერძოდ—მიიღონ ღონისძიება ამ სწავლების შემოღებისათვის ა/კსფსრ სამთო მრეწველობის ყველა საწარმოში სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 29-ს დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებზე;

ზ) მიიღონ ღონისძიებანი საწარმოო თათბირებისა და შრომის დაცვის კომისიების მიერ დასახელებულ და საწარმოთა ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

თ) უზრუნველყონ სრულად და თავის დროზე აღსრულება გამაფრთხილებელი სასანიტარო-სატექნიკო ზედამხედველობისა საწარმოთა ახალი მშენებლობის, რეკონსტრუქციის და გაფართოების დროს, კერძოდ—სამთო მრეწველობაში, იმ პირობით, რომ ყოველივე ეს სწარმოებდეს შრომის დაცვის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით.

2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღოს ღონისძიება კონტროლისა და ზედამხედველობის გაძლიერებისათვის ახალ მშენებლობაში, განსაკუთრებით მაზრებსა და სამთო მრეწველობის ყველა საწარმოში.

3. წინადადება მიექცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, აწარმოოს, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით—საერთოდ და შრომის დაცვის მიხედვით—კერძოდ, სახსართა განაწილება სამეურნეო ორგანოებს შორის და განსაზღვროს შრომის დაცვის ამა თუ იმ სამუშაოთა პირველრიგობა, თანაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უშიშროების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიე-



ბათ მიმე ინდუსტრიაში, კერძოდ კი—სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობაში.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად, მიიღოს მხედველობაში, რომ საქვაბე მეურნეობა მიმე მდგომარეობაშია, რომ ეს მეურნეობა მეტისმეტად გაცვეთილია, რომ სათანადო კონტროლი არ არსებობს შემოტანილი ქვაბების თვისების შესაფასებლად და რომ დიდფასიან შენობებში დაძველებული და გაცვეთილი ქვაბები იდგმის,—და ამისდამიხედვით გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში სათანადო ღონისძიებანი საქვაბე მეურნეობის გაჯანსაღებისათვის, ხოლო ა/კსფსრ შრომის სახალხო კოსისარიატმა გააძლიეროს ზედამხედველობა საქვაბე მეურნეობაში და გააუმჯობესოს დაძველებული და გაცვეთილი ქვაბების აღნუსხვის საქმე.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიიღონ ღონისძიებანი—1929/30 სასწავლო წლიდან ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში უშიშროების ტექნიკის სპეციალური კათედრის მოსაწყობად, კერძოდ—სამთო მრეწველობისათვის და შემოიღონ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში უშიშროების ტექნიკის სპეციალური დისციპლინების სწავლება.

6. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, მიიღოს მხედველობაში ტრავმატიზმის მაღალ დონემდე მიღწევა, რაზედაც, სხვათა შორის, გავლენას ახდენს შრომის დისციპლინის დარღვევაც, და, „სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 11-ს დადგენილების თანახმად, იხმაროს სათანადო ღონისძიებანი შინაგანრიგების წესების გაზუსტებისათვის, კერძოდ—შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გადასახდელის გაძლიერებისათვის.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს:

ა) გაათართოს სამეცნიერო ლაბორატორიების მუშაობა შრომის ჰიგიენისა და უშიშროების ტექნიკის სფეროში, რისთვისაც უზრუნველყოფს ლაბორატორიები და სპეციალური ინსპექცია საჭირო სახსარით და სპეციალური ლიტერატურით;

ბ) შრომის დაცვის უფლებრივი ნორმების საფუძვლით განხორციელებისათვის გააძლიეროს ბრძოლა შრომის დაცვის სფეროში გამოაშკარავებულ დარღვევათა წინააღმდეგ, კერძოდ—ზედმეტი მუშაობისა, ნორმალური სამუშაო დღის გადიდებისა, ყოველკვირეული 42 საათიანი დასვენების მიუცემლობისა, მოზარდთა და ორსულ და მაწოვარ ქალთა ღამის შრომის წინააღმდეგ, როგორც სამრეწველო საწარმოსა, ისე სოფლის მეურნეობაში.

8. საჭიროდ იქნეს ცნობილი ყოველგვარი სახის შრომის ინსპექციის გადიდება, კერძოდ—სამთო-სატექნიკო და სასანიტარო ინსპექციისა სამთო-სამრეწველო რაიონებში და აგრეთვე გადიდებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორების რიცხვი და მათი შრომის სასყიდელი სახალხო მეურნეობის სათანადო დარგის კვალიფიციურ მომუშავეთა სასყიდლამდე.





9. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით,—შრომის ინსპექციის (კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ინსპექციის) მყარი კადრების შესამქნელად და ამ ინსპექციის სოციალური შედგენილობის გასაუმჯობესებლად,—განხორციელოს შემდეგი:

ა) დააწინაუროს შრომის ინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნად სათანადოდ მომზადებული მომუშავენი საწარმოთა მუშებისა, სოფლის მეურნეობის მუშებისა და მუშა-ქალების რიცხვიდან, თანაც ერიდოს მათ ხშირ ცვლას;

ბ) მიიღოს სათანადო ღონისძიებანი შრომის ინსპექციის განტვირთვისათვის ისეთ სხვადასხვა დავალებისა და მოვალეობისაგან, რასაც უშუალო კავშირი არა აქვს მის პირდაპირ დანიშნულებასთან, კერძოდ—გაანთავისუფლოს სოფლის მეურნეობის შრომის ინსპექტორები შრომის უფლებრივი ინსპექციის მოვალეობათა შეთავსებისაგან.

10. მიღებულ იქნეს რეალური ღონისძიებანი, რათა განხორციელდეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 16-ს დადგენილება „საგლეხო მეურნეობაში საქირავნო შრომის კანონების შეფარდებისათვის ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ“, რისთვისაც:

ა) მოწყობილ იქნეს საჭიროებისადამიხედვით სოფლის მეურნეობის შრომის ინსპექციის ქსელი და ის რაიონები, სადაც სოფლის მეურნეობის მუშები (ამბოკარები) მასიურად თავს იყრიან, უზრუნველყოფილ იქნენ მომუშავეთა საჭირო რიცხვით;

ბ) გამოიცეს დადგენილება ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ საგლეხო მეურნეობაში შეფარდებულ საქირავნო შრომის კანონებისა და წესების განსაზღვრული ხასიათის დარღვევათათვის.

11. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ იუსტიციის სახალხო კომისარიატებს, რათა მათ მიიღონ ღონისძიებანი სამრეწველო საწარმოთა მეთაური სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობაში მისაცემად და მათ წინააღმდეგ სასამართლო ზედმოქმედების გასაძლიერებლად შრომის მოქმედი კანონების დარღვევისათვის, კერძოდ—სოფლის მეურნეობის მუშებისა და ამბოკარების შრომის კანონების დარღვევისათვის; აგრეთვე მიიღონ ღონისძიება, რათა დაჩქარებულ და გამარტივებულ იქნეს სასამართლოს ქვედა ორგანოების მიერ იმ საქმეების განხილვა, რაც აღძრულ იქნება სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექციისა და თვით სოფლის მეურნეობის მუშებისა და მუშა-ქალების მიერ, აგრეთვე იმ საქმეებისა, რასაც აღძრავს შრომის უფლებრივი ინსპექცია სამრეწველო საწარმოთა წინააღმდეგ;

ბ) დაავალონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, ტრავმატიზმის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის, უზრუნველჰყონ საწარმოთა პირველი დახმარების პუნქტების ქსელის გაფართოება, იმ პირობით, რომ სამთო, სამეტალურგო, საქიმიო და საფეიქრო მრეწველობის ყველა საწარმოში 1929-30 წ. მოწყობილ იქნეს აღნიშნული პუნქტები.



12. წინააღმდეგა მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატს, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წარმოადგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში 1929 წ. დეკემბრის 1-თვის მოხსენებანი ამა დადგენილებების შესასრულებლად მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა თაობაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. სექტემბრის 16. ტფილისი-სასახლე.

**დადგენილება № 157 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**152. მიმდინარე საბიუჯეტო წელს ბინათმშენებლობის ღირებულობის ლიმიტების შესახებ შენობის საცხოვრებელი სივრცის ერთ კვადრატულ მეტრზე.**

„1928-29 საბიუჯეტო წლისთვის საბინაო მშენებლობის ღირებულობის ლიმიტების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 14-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-რი, მუხ. 37) დასამატებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ცენტრალურ კომუნალურ ბანკთან ხელშეკრულებების დასადებად—ქვისა და აგურის საცხოვრებელი შენობების ერთი კვადრ. მეტრის საცხოვრებელი სივრცის ღირებულობის ლიმიტი 1929-30 წლისთვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

|  | რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი |              |                 |
|--|-------------------------|--------------|-----------------|
|  | აზერბაიჯანის სსრ        | სომხეთის სსრ | საქართველოს სსრ |
| 1. დედა-ქალაქებისათვის: ბაქო, ტფილისი და ერივანი . . . . . | 115 მან.                | 105 მან.     | 105 მან.        |
| 2. სხვა ქალაქებისა და ადგილებისათვის                       | 110 მან.                | 110 მან.     | 110 მან.        |



**შენიშვნა.** საცხოვრებელი შენობის ერთი კვადრ. მეტრის საცხოვრებელი სივრცის აღნიშნულ ღირებულებაში არ შედის შენობისათვის წყალსადენისა, კანალიზაციისა, ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის მოწყობის ხარჯები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. აგვისტოს 15. ტფილისი-სასახლე.

---

**დადგენილება № 86 ა/კსფსრ შრომის სახალხო  
კომისარიატისა.**

1929 წ. სექტემბრის 13

**153. 1929 წლის სექტემბრის 20-ს დღის შესახებ (ინდუსტრია-  
ლიზაციის დღე):**

რადგანაც სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებმა ერთსულოვნად დაადგინეს 1929 წ. სექტემბრის 20-ს არასამუშაო დღეს იმუშაონ როგორც „ინდუსტრიალიზაციის დღეს,“ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. იმ საწარმოსა და დაწესებულებაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დადგენილებით 1929 წ. სექტემბრის 20-ის დღეს (ინდუსტრიალიზაციის დღეს) მუშაობა იქნება, ამ დღეს სამუშაო დროის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს ექვს საათს.

2. შეუწყვეტილ მომქმედ საწარმოსა და დაწესებულებაში 1929 წ. სექტემბრის 20-ს სამუშაო დროის ხანგრძლიობა განისაზღვრება ისევე, როგორც დანარჩენ სამუშაო დღეს.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

შეთანხმებულია: ა/კ. პროფკავშირთა  
საბჭოს თავმჯდომარე კუზნეცოვი.

გამოქვეყნებულია ჯარია ვოსტოკა“-ს 211 №-ში 1929 წ. სექტემბრის 14-ს



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

### 154. სამინდევ გამოსაღებ შესახებ.

„სამინდევ გამოსაღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 17-ს დადგენილების თანახმად და „სამინდევ გამოსაღების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 27-ს დადგენილების გასაუქმებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

#### I.

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო წისქვილისა და საფქვავ-საბურღულე საწარმოსათვის,—მისი სახისა, გაწყობილობისა, გამოსავალისა და ძალოვნების მიუხედავად,—მარცვლეულის დაფქვისა და ბურღულად გადამუშავების სასყიდელი მხოლოდ ნატურალური ფორმით (სამინდევ გამოსაღები).

2. ა/კსფსრ ფარგლებში სამინდევ გამოსაღების ჩატარების საქმის ხელმძღვანელობასა და მოწესრიგებას განახორციელებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი—სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ღირეკტივების მიხედვით.

3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ღირეკტივების საფუძველზე, უფლება ეძლევა გაანთავისუფლოს ხოლმე ცალკეული უწყება და ცალკეული სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამინდევ გამოსაღების გადახდისაგან და მარცვლეულის დაფქვისა და ბურღულად გადამუშავების სასყიდელი დააწესოს მათთვის ფულად.

4. სამინდევ გამოსაღების განაკვეთი (მარცვლეულის დაფქვის ნატურალური სასყიდელი) დაწესდება: ხორბლისათვის— $6\frac{1}{4}$  კილოგრამი, ბრინჯისათვის— $7\frac{1}{2}$  კილოგრ. და ქერისა და სიმინდისათვის—10 კილოგრ. დასაფქვავე მარცვლეულის თვითოეულ ცენტნერზე.

5. წისქვილისა და საფქვავ-საბურღულე საწარმოს მებატონე და მოიჯარადრე მოვალეა ჩააბაროს მთელი სამინდევ გამოსაღები სააქციო საზოგადოება „სოიუზხლებ“-ს—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ,—სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ღირეკტივების საფუძველზე,—დადგენილ ფასად.

**შენიშვნა.** იქ, სადაც „სოიუზხლებ“-ს სრულიად არა ჰყავს პურის დამზადებელი აპარატი ან, თუ ჰყავს,—არასაკმარისი,—„სოიუზხლებ“ დასდებს შეთანხმებას სათანადო კოოპერატიულ ან სახელმწიფო ორგანიზაციასთან.



6. სამინდვე გამოსაღების მოგროვებასა და შენახვაში მონაწილე კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის მათი ხარჯების ანაზღაურება და აგრეთვე მათთვის საკომისიო გასამრჯელოს მიცემა სწარმოებს იმ წესით და იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს ა/კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი—სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივების მიხედვით.

7. სააქციო საზოგადოება „სოიუზხლებ“, სათანადო აღმასრულებელ კომიტეტთან (დაირი, თემი, გავარაკი), ხოლო იქ, სადაც დარაიონება გატარებულია, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თვითეული საწარმოსათვის (1 მუხ.) სამინდვე გამოსაღების იმ მინიმალურ რაოდენობას, რაც ჩაბარებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში; თანაც აღნიშნავს, რა კულტურა უნდა იქნეს ჩაბარებული და რა ვადაზე, რაც საწარმოთ სპეციალურად ეცნობებათ.

8. საფქვავე-საბურღულე საწარმოს მეპატრონეს და მოიჯარადრეს შეუძლიან განასაჩივროს სათანადო საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტში, ორი კვირის ვადაზე დღიდან შეტყობინების ჩაბარებისა, მისთვის მე-7 მუხლის თანახმად განსაზღვრული სამინდვე გამოსაღების რაოდენობა. განსაჩივრება აღნიშნული წესისამებრ არ ანთავისუფლებს საფქვავე-საბურღულე საწარმოს მეპატრონეს და მოიჯარადრეს მისი ხვედრი სამინდვე გამოსაღების შეტანის მოვალეობისაგან, უკეთეს შეტანის შეჩერების თაობაზე იმ ორგანომ, რომელსაც საჩივარი წარედგინა, სპეციალური დადგენილება არ გამოიტანა.

9. უკეთეს შესაბამისი რაოდენობისა და კულტურის სამინდვე გამოსაღები არ იქნა ჩაბარებული დაწესებულ ვადაზე, იგი, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით, გადახდევინებულ იქნება ნატურად უდავო წესით.

10. სამინდვე გამოსაღების დებულების დარღვევისათვის დაწესებულია პასუხისმგებლობა:

ა) უკეთეს უდავო გადახდევინების პროცესში საწარმოს მეპატრონეს და მოიჯარადრეს—კერძო პირს—სამინდვე გამოსაღები ნატურად არ აღმოჩნდა, აღნიშნულ მეპატრონეს და მოიჯარადრეს გადაჰხდება უდავო წესით, სათანადო საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით, ფულად ჯარიმად ხვედრი სამინდვე გადასახადის ღირებულობა არა ნაკლებ, ვიდრე ერთი-ორად და არა უმეტეს, ვიდრე ერთი ხუთად;

ბ) „სამინდვე გამოსაღების დებულების“ სხვა დარღვევისათვის—პირველად—ჯარიმა 100 მანეთამდე, რასაც ადმინისტრაციული წესით დაადებს დამნაშავეს სათანადო საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტი; განმეორებითი დარღვევისათვის ან ბოროტი განზრახვით ჩადენილი დარღვევისათვის—სისხლის სამართლის წესით—ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლების თანახმად.

11. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა თანამდებობის პირების მიერ „სამინდვე გამოსაღების დებულების“ დარღვევისათვის—ეს პირნი პასუხს აგებენ ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავის სათანადო მუხლების მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაული.



12. უკეთუ მესაკუთრე ბოროტი განზრახვით დაჰზურავს თავის საწარმოს, სამინდვრე გამოსაღების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ასეთი კერძო საწარმო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას აღნიშნულ პირს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის მიხედვით (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხ.)

13. უკეთუ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა კერძო მოიჯარადრენი არ ჩაბარებენ გამოსაღებს ან ბოროტი განზრახვით შეაჩერებენ საწარმოს მუშაობას, გამოსაღების ჩაბარების თავიდან ასაცილებლად, ამ პირებთან დადებული ხელშეკრულებები შეიძლება მოშლილ იქნეს სასამართლოს მიერ— ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის მიხედვით.

II

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. სექტემბრის 2. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 205 №-ში 1929 წ. სექტემბრის 7-ს.

**დადგენილებანი ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოების მე-V ყრილობისა.**

**155. ამხ. შ. ელიავას მოხსენების გამო „ა/კსფსრ მთავრობის მოქმედების შესახებ“.**

ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოების მე-V ყრილობამ მოისმინა ამიერკავკასიის მთავრობის მოხსენება და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისა, მთლად ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ნაციონალური მშვიდობიანობის უფრო მეტად განმტკიცებისა, სოციალისტური მეურნეობის მშენებლობისა, მუშათა და გლეხთა შორის კავშირის განმტკიცებისა და მშრომელთა





მატერიალური მდგომარეობის წარმატების საქმეში მთავრობას აქვს თვალსაჩინო მიღწევები.

ყრილობა მთლად და სავსებით ადასტურებს ა/კსფსრ მთავრობის მოქმედებას და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას—როგორც საგარეოს, ისე შინაგანს—სთვლის სწორე პოლიტიკად.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის  
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის  
მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მაისის 11. ტფილისი.

**156. ამხ. ა. შავერდოვის მოხსენების გამო „იმ დეკრეტებისა და დადგენილებების შესახებ, რაც მიღებულია ა/კსფსრ მთავრობის მიერ ამიერკავკასიის საბჭოთა მე-IV და V ყრილობებს შორის გასული პერიოდის განმავლობაში“.**

ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოების მე-V ყრილობამ მოისმინა ამხ. ა. შავერდოვის მოხსენება ა/კსფსრ მთავრობის მიერ საბჭოთა მე-IV და მე-V ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში მიღებულ დეკრეტთა და დადგენილებათა შესახებ და ადგენს:

ა/კსფსრ მთავრობის კანონმდებლობითი მუშაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დადასტურებულ იქნეს.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის  
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V ყრილობის  
მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მაისის 11. ტფილისი.